4 მარტი, 2019 წელი

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის
პირველ მოადგილეს
ბატონ მიხეილ გიორგაძეს

ბატონო მიხეილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს მთავარ ორგანიზაციას კინოინდუსტრიისთვის, როგორც დაფინანსების, ასევე ზოგადად კინოპოლიტიკის წარმართვის კუთხით, აქედან გამომდინარე ნებისმიერი ამ სფეროში მოღვაწე ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება.

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 21 იანვარს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტრმა ზურაბ მაღალაშვილმა კინოცენტრის ოფიციალური Facebook-გვერდის საშუალებით გაავრცელა განცხადება გადადგომის შესახებ. თუმცა ინფორმაცია ახალი დირექტორის არჩევის შესახებ ჯერ არ გავრცელებულა არც კინოცენტრისა და არც სამინისტროს ვებ-გვერდისა თუ Facebook-გვერდების საშუალებით.

კინოცენტრის დირექტორის პოზიციაზე კანდიდატების შერჩევის პროცესის ხელშეწყობისთვის, ჩვენ, როგორც ინდუსტრიის აქტიურ წარმომადგენლებს გვსურს სამინისტროს წარვუდგინოთ კინოინდუსტრიაში მომუშავე პროფესიონალთა სია, რომელთაც გააჩნიათ ყველა საჭირო კომპეტენცია სწორად შეარჩიონ ეროვნული კინოცენტრის მომავალი დირექტორი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევა სწორედ იმ ადამიანებს უნდა ვანდოთ, ვინც ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ინდუსტრიულ პლატფორმაში, ვისაც კარგად ესმის ქართული კინოს გამოწვევები და შეუძლია პარალელების გავლება სხვა ქვეყნების კინოინდუსტრიებთან, რადგან ყოველივე ეს საჭიროა იმ ხედვისა და სტრატეგიის შეფასებაში, რომელსაც კინოცენტრის პოტენციური დირექტორი ჟიურის წევრებს წარუდგენს. სწორედ ასეთი კინოპროფესიონალების რეკომენდაცია უნდა იყოს სამინისტროსათვის საინტერესო და ყურადსაღები.

გვჯერა, რომ გაიზიარებთ ჩვენს ხედვას, რადგან გვჯერა, რომ ჩვენ ერთი მიზანი გვაერთიანებს. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფო კინოფონდს უნდა მართავდეს თავისი საქმის პროფესიონალი, სწორი ხედვითა და ქართული კინოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიით.

გთხოვთ, იხილოთ კანდიდატთა შესარჩევ კომისიაში შემოთავაზებულ პროფესიონალთა სია (ანბანის მიხედვით):

გელა ბაბლუანი	რეჟისორი, პროდიუსერი
ოთარ ბუბაშვილი	კინოგაქირავების წარმომადგენელი
გოგი გვახარია	კინომცოდნე

თინათინ გურჩიანი	რეჟისორი, პროდიუსერი
ნანა ექვთიმიშვილი	რეჟისორი, პროდიუსერი
ლევან თუთბერიძე	რეჟისორი
ვლადიმერ კაჭარავა	პროდიუსერი
ნინო კირთაძე	რეჟისორი, პროდიუსერი
ლევან კოღუაშვილი	რეჟისორი, პროდიუსერი
ქეთი მაჭავარიანი	რეჟისორი, პროდიუსერი
გიორგი ოვაშვილი	რეჟისორი, პროდიუსერი
რატი ონელი	რეჟისორი, პროდიუსერი
ზაზა ურუშაძე	რეჟისორი, პროდიუსერი
გიორგი შველიძე	ოპერატორი
დიტო ცინცაძე	რეჟისორი
ანნა ძიაფშიპა	პროდიუსერი
რუსუდან ჭყონია	რეჟისორი
ზაზა ხალვაში	რეჟისორი
ლაშა ხალვაში	პროდიუსერი
თეო ხატიაშვილი	კინომცოდნე
სალომე ჯაში	რეჟისორი
ნანა ჯორჯაძე	რეჟისორი

კინოცენტრის ყოფილი დირექტორები (ქრონოლოგიურად):

თამარ ტატიშვილი	2010-2013
ნანა ჯანელიძე	2013-2016
ზურაბ მაღალაშვილი	2016-2019

წერილს თან ვურთავთ:

1. კინოკლასტერის შესახებ მოკლე ინფორმაციას.
2. შესარჩევ კომისიაში შემოთავაზებული კანდიდატების შესახებ მოკლე ინფორმაციას.

პატივისცემით,

მარინა კალტრაიდერი
დირექტორი

საქართველოს კინოკლასტერის შესახებ

2017 წელს „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით, საქართველოს კინოინდუსტრიის წარმომადგენლებმა “საქართველოს კინოკლასტერი” დააარსეს. კლასტერში საქართველოს კინოინდუსტრიის 40-ზე მეტი წამყვანი კომპანია და პროფესიონალია გაერთიანებული. კლასტერი თავის საქამიანობას სამი ძირითად მიმართულებით ახორციელებს:

- საქართველოს კინოინდუსტრიის პოპულარიზაცია და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება
- კინოგანათლებისა და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა
- საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის განვითარება და ინდუსტრიის ინტერესების წარდგენა/დაცვა, როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კლასტერის წევრები საქართველოს კინოინდუსტრიას წარადგენენ სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე, მათ შორის კანის საერთაშორისო კინოფესტივალი, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი, სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალი, კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი, ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი, ამსტერდამის საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალი, და ა.შ.

2018 წლის განმავლობაში კლასტერის წევრების მიერ განხორციელებული პროექტების წილი ქართულ კინოინდუსტრიაში შეადგენს ბაზრის დაახლოებით 65%-ს და მათ მიერ განხორციელებული პროექტების ბიუჯეტმა 40 მილიონ ლარს გადააჭარბა, ასევე, ამავე პერიოდში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში 4000 ადამიანი იქნა დასაქმებული.

ჩვენი პარტნიორები:

მოკლე ინფორმაცია შესარჩევი კომისიის კანდიდატების შესახებ

გელა ბაბლუანი	ერთ-ერთი პირველი ქართველი რეჟისორი და პროდიუსერი, რომლის სრულმეტრაჟიანი ფილმები წარმოადგენს საერთაშორისო კო-პროდუქციებს. ვენეციისა და სანდენსის კინოფესტივალების, ასევე ევროპის კინოაკადემიის გამარჯვებული. საქართველოში კინოსკოლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მოღვაწეობს აშშ-ში, საფრანგეთსა და საქართველოში.
ოთარ ბუბაშვილი	საქართველოს კინოთეატრების ქსელის გენერალური დირექტორი.
გოგი გვახარია	კინომცოდნე, საერთაშორისო კინოფესტივალების აკრედიტირებული ჟურნალისტი, 30 წელზე მეტია წერს ქართულ და საერთაშორისო კინოზე. არის არაერთი სატელევიზიო პროექტის ავტორი კინოხელოვნების შესახებ, ილიაუნისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი. მოღვაწეობს საქართველოში.
თინათინ გურჩიანი	კინოდოკუმენტალისტი, სანდენსის კინოფესტივალის გამარჯვებული, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის, მონაწილე და გამარჯვებული. მოღვაწეობს საქართველოში.
ნანა ექვთიმიშვილი	კინორეჟისორი და პროდიუსერი, მისი ყველა კინონამუშევარი წარმოადგენს საერთაშორისო კო-პროდუქციას. მისი ფილმები წარდგენილი იყო ბერლინისა და სანდენსის კინოფესტივალებზე. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული. მისი ფილმი პირველი ქართული ფილმია, რომლის საერთაშორისო გაყიდვების უფლება Netflix-მა შეიძინა. მოღვაწეობს საქართველოსა და გერმანიაში.
ლევან თუთბერიძე	კინორეჟისორი, მისი ფილმები წარმოადგენს საერთაშორისო კოპროდუქციებს, სან სებასტიანის კინოფესტივალის მონაწილე, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული. მოღვაწეობს საქართველოში.
ვლადიმერ კაჭარავა	თანამედროვე ქართულ კინოში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პროდიუსერი. მის მიერ წარმოებული ფილმების დიდი უმრავლესობა წარმოადგენს საერთაშორისო კო-პროდუქციას. არის კანის, ბერლინის, კარლოვი ვარის კინოფესტივალების მონაწილე. აზიური ოსკარი ჯილდოს მფლობელი. მოღვაწეობს საქართველოში.
ნინო კირთაძე	კინოდოკუმენტალისტი, მისი ფილმების უმრავლესობა არის საერთაშორიოს კო-პროდუქცია. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული, სანდენის კინოფესტივალის გამარჯვებული, ევროპის კინოაკადემიის ჯილდოს მფლობელი. მოღვაწეობს საფრანგეთსა და საქართველოში.
ლევან კოღუაშვილი	მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისორი. მისი ყველა ფილმი არის საერთაშორისო კო-პროდუქცია. ბერლინის, ტორონტოს, ამსტერდამისა და სხვა მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული. მოღვაწეობს საქართველოსა და უკრაინაში.

ქეთი მაჭავარიანი	კინორეჟისორი და პროდიუსერი, მისი ფილმი იყო კარლოვი ვარის საერთაშორის კინოფესტივალის მონაწილე პირველი ქართული ფილმი. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე. მოღვაწეობს საქართველოში.
გიორგი ოვაშვილი	კინორეჟისორი და პროდიუსერი. მისი ყველა ფილმი არის საერთაშორისო კო-პროდუქცია. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და მრავალი ჯილდოს მფლობელი, მათ შორის კარლოვი ვარის გრანპრი. დასახელებულია ოსკარის მოკლე სიაში.მოღვაწეობს საქართველოში.
რატი ონელი	პროდიუსერი და კინოდოკუმენტალისტი. მისი პროდიუსერობით განხორციელებული ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი მონაწილეობდა კანის კინოფესტივალზე, ხოლო მისი სარეჟისორო ნამუშევარი, შექმნილი საერთაშორისო კო-პროდუქციით, მონაწილეობდა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე. მოღვაწეობს საქართველოსა და აშშ-ში.
ზაზა ურუშაძე	კინორეჟისორი, უმეტესობა მისი ფილმებისა წარმოადგენს საერთაშორისო კო-პროდუქციას. ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინანტი. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული.მოღვაწეობს საქართველოსა და უკრაინაში.
გიორგი შველიძე	მრავალი ქართული ფილმის დამდგმელი ოპერატორი. ოპერატორთათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინოპრემიის "Spotlight Award-ის გამარჯვებული. მოღვაწეობს საქართველოში.
დიტო ცინცაძე	კინორეჟისორი, მისი ფილმები წარმოადგენს საერთაშორისო კო-პროდუქციებს. კანის კინოფესტივალის მონაწილე და პრიზიორი, ლოკარნოს კინოფესტივალის მონაწილე და პრიზიორი, სან სებასტიანის კინოფესტივალის გამარჯვებული. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული. მოღვაწეობს გერმანიასა და საქართველოში.
ანნა ძიაფშიპა	დოკუმენტური კინოს პროდიუსერი. მრავალი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული. დოკუმენტური კინოპლატფორმა “პიჩდოკის” დამფუძნებელი.მოღვაწეობს საქართველოში.
რუსუდან ჭყონია	კინორეჟისორი, მისი ფილმი წარმოადგენს საერთასორისო კო-პროდუქციას, რომლის პრემიერაც შედგა ვენეციის კინოფესტივალზე. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული.მოღვაწეობს საქართველოში.
ზაზა ხალვაში	კინორეჟისორი, მისი ყველა ფილმი არის საერთაშორისო კო-პროდუქცია. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის, მათ შორის ტოკიოს კინოფესტივალის მონაწილე. მოღვაწეობს საქართველოში.
ლაშა ხალვაში	კო-პროდუქციით შექმნილი მრავალი საერთაშორისო კინოსურათის პროდიუსერი. მისმა ფილმებმა მონაწილეობა მიიღეს ისეთ კინოფესტივალებზე, როგორიცაა ბერლინალე, ლოკარნო (ოქროს ლეოპარდი საუკეთესო დებიუტისთვის) და სხვა. აზიური ოსკარის ორგზის მფლობელი. მოღვაწეობს საქართველოში.
თეო ხატიაშვილი	კინომცოდნე, საერთაშორისო კინოფესტივალების აკრედიტირებული ჟურნალისტი, ილიაუნისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი.მოღვაწეობს საქართველოში.

სალომე ჯაში	კინოდოკუმენტალისტი. ყველა მისი ფილმი არის საერთაშორისო კო-პროდუქცია. მონაწილეობა აქვს მიღებული დოკუმენტური კინოსუმნიშვნელოვანეს კინოფესტივალებზე. მოღვაწეობს საქართველოში.
ნანა ჯორჯაძე	კინორეჟისორი, მისი ფილმები წარმოადგენს საერთასორისო კო-პროდუქციას. კანის კინოფესტივალის მონაწილე და პრიზიორი. პირველი ოსკარის ნომინანტი ქართველი რეჟისორი. მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილე და გამარჯვებული. მოღვაწეობს საქართველოში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში

კინოცენტრის ყოფილი დირექტორიები

თამარ ტატიშვილი	2009-2013
ნანა ჯანელიძე	2013-2016
ზურაბ მაღალაშვილი	2016-2019